საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1725
14/03/2023

1725-21-2-202303141424

სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1201 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთში, მდ. გუბისწყალის მარჯვენა სანაპიროს ნაპირდამცავი სამუშაოების (ნაპირსამაგრი ნაგებობის) განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (ჰიდროლოგიური ანგარიში, ცხრილი N1) მოცემული მდინარის წყლის საანგარიშო ხარჯის განსაზღვრისთვის საჭირო, შემავალი სიდიდეების შესაბამის ფორმულაში ჩასმით მიღებული მონაცემები არ შეესაბამება წარმოდგენილ საანგარიშო ხარჯებს, შესაბამისად, წყლის ხარჯის მნიშვნელობა და მასზე დამოკიდებული ჰიდროლოგიური მონაცემები საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო კვეთში საანგარიშო დატბორვის დონეების დასაბუთება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო